

ინგლისური
ენა

საბაზო და
საშუალო
საფეხურის
მე-5 დონე

New Wave

მასწავლებლის წიგნი

ლია გოქსაძე
თამარ ფალავა

კონსულტანტი ბრიტანეთის საბჭო

რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ.

პილოტირებულია საქართველოს სკოლებში განათლების რეფორმის
პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ფარგლებში 2005-06 სასწავლო წელს.

საბაზო და საშუალო საფეხურის მე -5 დონე

New Wave

მასწავლებლის წიგნი

ლია გოქსაძე, თამარ ფალავა

კონსულტანტი ბრიტანეთის საბჭო

დიზაინი გოგა დემეტრაშვილი, გიორგი ტაბლიაშვილი

სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილები:

1. მოსწავლის წიგნი
2. სავარჯიშოების კრებული
3. ტესტები
4. მასწავლებლის წიგნი
5. 1 აუდიოკასეტა

საავტორო უფლება ტექსტზე © 2009 ლია გოქსაძე, თამარ ფალავა

ყველა უფლება დაცულია

პირველი გამოცემა 2009

ISBN 99940-62-59-X

გამომცემლობა "ოცდამეერთე"

ტელეფონი 877742146

შინაარსი

შესავალი	4
შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	5
შინაარსისა და მიზნების რუკა	5
კომენტარები მოსწავლის წიგნთან დაკავშირებით	7
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები	9
გაკვეთილის დაგეგმვა	10
სანიმუშო გაკვეთილის სცენარი	11
შეფასების ფორმები და რეკომენდაციები	12
საკონტროლოების და ტესტების ნიმუშები	14
დანართი I: ინგლისური ენის სტანდარტი	16
მოსწავლის წიგნის სავარჯიშოების პასუხები და ჩანაწერები	22
ტესტების პასუხები	40

შესავალი

სახელმძღვანელოს დანიშნულებაა მე-10 კლასის მოსწავლეებს მისცეს ინგლისური ენის ის ცოდნა და განუვითაროს ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითხოვს. ამ ძირითად მოთხოვნას ეფუძნება სახელმძღვანელოს კონკრეტული დანიშნულება - კომუნიკაციური და ინტერაქტიული მეთოდის გამოყენებით მე-10 კლასის მოსწავლეებში ინგლისურ ენაზე კითხვის, მოსმენის, წერის და ლაპარაკის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება. გრამატიკის საკითხების და ლექსიკური ერთეულების სწავლა და სწავლება ხდება ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ფონზე და მათთან ერთად.

ინგლისურ ენას დღევანდელ მსოფლიოში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა აქვს. მას იყენებენ სრულიად განსხვავებული ისტორიის, კულტურის, ასაკის და რელიგიის ადამიანები. ინგლისური საერთაშორისო შეხვედრების, კონფერენციების, ინტერნეტის ენაა. ინგლისური ენის ცოდნა აახლეობს სხვადასხვა ეროვნების მილიონობით ადამიანს და შესაძლებელს ხდის მათ შორის კომუნიკაციას. ჩვენი სახელმძღვანელოს მეთოდის და თემატიკა ამ ფაქტორსაც ითვალისწინებს და მასალას ხშირად კულტურათა დიალოგის ჩრდილში მიაწვდის მოსწავლეებს.

სახელმძღვანელოს კომპონენტებია:

1. მოსწავლის წიგნი (Student's Book)
2. სავარჯიშოების კრებული (Workbook)
3. ტესტების კრებული (Tests)
4. მასწავლებლის წიგნი (Teacher's Book)
5. 1 აუდიოკასეტა

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა სირთულის დონის მიხედვით შეესაბამება ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ დადგენილ B1 და კემბრიჯის უნივერსიტეტის PET-ის წინარე დონეებს (Pre-intermediate).

მოსწავლის წიგნი არის სახელმძღვანელოს ძირითადი შემადგენელი ნაწილი. იგი შედგება 24 გაკვეთილისგან (Unit). ერთი გაკვეთილი მოიცავს ოთხ გვერდს. გაკვეთილის სტრუქტურა და სასწავლო მასალის მიმდევრობა შემდეგია: ტექსტი, ლექსიკური სავარჯიშოები, მოსმენის სავარჯიშოები, გრამატიკა, ლაპარაკის აქტივობა და წერიტი დავალება. გაკვეთილს კრავს ერთი საერთო თემატიკა, ლექსიკა და გრამატიკა. ყოველ გაკვეთილში 10-12 სავარჯიშოა. მოსწავლეები ვარჯიშობენ როგორც ენის სისტემებზე (გრამატიკა, ლექსიკა), ისე ენობივ უნარ-ჩვევებზე (კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, წერა). ყოველ ოთხ გაკვეთილს მოსდევს გამეორების გაკვეთილი (Revision Unit). მოსწავლეს ეძლევა საშუალება გაიმეოროს წინა ოთხი გაკვეთილის მასალა და გაიმყაროს ცოდნა. მოსწავლის წიგნის ბოლოს მოცემულია არანესიერი ზმნების სია და ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (Wordlist). **სასურველია, რომ მოსწავლეებმა სავარჯიშოები გადაინერონ რვეულებში და ისე იმუშაონ.** ეს სახელმძღვანელოსაც დაზოგავს და მოსწავლეებს წერის უფრო მეტი პრაქტიკასაც მისცემს.

სავარჯიშოების კრებული, მოსწავლის წიგნის მსგავსად, შედგება 24 გაკვეთილისგან. გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოები და აქტივობები მოსწავლის წიგნის შესაბამის გაკვეთილში მოცემული მასალის შესატყვისია და გამოიყენება საშინაო დავალებებისთვის, დამოუკიდებელი მუშაობისთვის, ცოდნისა და ენობრივი უნარ-ჩვევების განმტკიცებისთვის. ერთი გაკვეთილის მასალა მოიცავს 2 გვერდს. სავარჯიშოების კრებულის ყოველ ოთხ გაკვეთილს მოსდევს თვითშეფასების კითხვარი (Self-assessment). კითხვარს მოსწავლეები დამოუკიდებლად პასუხობენ, შედეგებით კი განსაზღვრვენ, თუ რა ცოდნას მიაღწიეს, რა უჭირთ, ან რა იციან. თვითშეფასების კითხვარის სისტემატური გამოყენება და შედეგის მასწავლებელთან ერთად განხილვა მოსწავლეს სწავლის უნარს უვითარებს და წინსვლის სტიმულს აძლევს. კრებულის ბოლოს მოცემულია სავარჯიშოების პასუხები. მოსწავლეებს შეუძლიათ სავარჯიშოების პასუხები თვითონ უნდა გადაამოწმონ და შედეგებზე ერთად იმსჯელონ.

ტესტების კრებული შედგება 6 ტესტისგან. თითოეული ტესტი მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივი შემოწმებისთვის არის გათვალისწინებული (4 გაკვეთილი + ტესტი) და სრულად შეესაბამება მოსწავლის წიგნის მასალას. ტესტები გამოიყენება განვლილი მასალის ათვისების ხარისხის დადგენის და შემაჯამებელი შეფასების მიზნით ("საკონტროლო წერების" ალტერნატივა). ტესტების კრებული ინახება მასწავლებელთან და მოსწავლეებს ეძლევათ მხოლოდ ტესტის წერის დროს. ტესტების შედეგები მოწმდება უნიფიცირებული პასუხების სქემის (Answer keys) მიხედვით. შესაძლებლად მიგვაჩინია ისიც, რომ ტესტები თვითშეფასებისთვისაც გამოიყენებოდეს: მოსწავლე, და არა მასწავლებელი, ამოწმებს საკუთარ ნაწერს მოცემული პასუხების მიხედვით და ინერს ქულას. მუშაობის ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თანატოლებთან ან მასწავლებელთან ერთად იმსჯელოს მიღწეულ

შედეგებზე და იმაზე, თუ რაში დაუშვა შეცდომა და რაში უნდა იმეცადინოს, რომ მომავალში უკეთეს შედეგს მი-
აღწიოს. ტესტებში მოცემული გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარე-
ბას უწყობს ხელს, რაც პასუხობს თანამედროვე კომუნიკაციური მეთოდის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც
ენობრივი ასპექტების (გრამატიკა, ლექსიკა, ფონეტიკა) სწავლა და სწავლება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გან-
ვითარებას უნდა ემსახურებოდეს. სავარჯიშოების ტიპები მოსწავლის წიგნში მოცემულის მსგავსია, რაც მასწავ-
ლებელს დამატებითი სავარჯიშოების შექმნას გაუადვილებს.

მასწავლებლის წიგნი მოსწავლის წიგნის მეთოდური თანმხლებია. იგი მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს
როგორც მთელი სახელმძღვანელოს, ისე ცალკეული გაკვეთილის, დანიშნულება და სტრუქტურა; მეთოდურად სწო-
რად დაგეგმოს და ჩაატაროს გაკვეთილი; რაციონალურად გაანაწილოს გაკვეთილის დრო; მიმდინარე და შემაჯამე-
ბელი შეფასების დროს გამოიყენოს უნიფიცირებული კრიტერიუმები, რაშიდაც მას ამავე წიგნში მოცემული პასუხები
და ჩანაწერების ტექსტები ეხმარება. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ერთი გაკვეთილი (Unit) სავარჯიშოების კრებულის მასა-
ლის ჩათვლით 4 აკადემიურ საათში დაიფაროს. ასეთ შემთხვევაში მასალის ტრიმესტრული განაწილება შემდეგი იქნება.

I ტრიმესტრი (12 კვირა, 36 საათი): 1-8 Units + 1-2 Revisions + 1-2 Tests

II ტრიმესტრი (12 კვირა, 36 საათი): 9-16 Units + 3-4 Revisions + 3-4 Tests

III ტრიმესტრი (12 კვირა, 36 საათი): 17-24 Units + 5-6 Revisions + 5-6 (Final) Tests

შესაბამისად, მასალა იფარება 36 სასწავლო კვირის და - კვირაში 3 საათის ჩატარების შემთხვევაში - 108 საათის
განმავლობაში. ეს მოქნილი სქემაა და მისი შეცვლა მასწავლებელს შეუძლია გამოყოფილი საათების და მოსწავლეე-
ბის მიერ მასალის ათვისების ხარისხის გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შინაარსისა და მიზნების რუკა

	გაკვეთილის სათაური	ენობრივი კონსტრუქციები	ლექსიკა / თემატიკა	გრამატიკა	სტანდარტის შედეგები
1	Welcome to my website	in my spare time of Georgian origin sense of humour	family /friends relationships	Present Simple	უცხ. ს. V1; V6; V10; V19, V25; V26; V28
2	I cheated once	driving license note of explanation a busy schedule	school life school subjects	Past Simple	უცხ.ს. V1; V9; V14; V19, V25; V27; V28
3	Changes in the 21st century	medical care incurable disease get education	health care personal computers	Future with 'will'	უცხ. ს. V2; V6; V16; V19; V25; V26; V28
4	Do you worry about the environment?	is polluted is in danger clean environment	environment pollution	Adjectives and adverbs	უცხ. ს. V3; V7; V10; V15; V20; V23
	Revision				უცხ. ს. 10; V22; V23
	Progress test one				უცხ. ს. 10; V21; V23
5	The world of teenagers	recent survey work part-time popular activities	teenagers' life teenagers' interests	Comparing adjectives	უცხ. ს. 2; V7; V10; V14; V19; V25
6	Computers at home	quality of life send/receive e-mails search for information	young people and modern technologies	Present perfect	უცხ. ს. V1; V5; V16; V26; V25; V27; V30
7	Merry Christmas	Christmas Eve festive time Christmas treat	Christmas celebrations multicultural traditions	Present continuous	უცხ. ს. V2; V9; V14; V29; V28
8	Christmas gifts	expression on the face valuable thing receive the gift	Christmas gifts family traditions	Past continuous	უცხ. ს. V4; V7; V14; V19; V26; V25; V28

	გაკვეთილის სათაური	ენობივი კონსტრუქციები	ლექსიკა / თემატიკა	გრამატიკა	სტანდარტის შედეგები
	Revision				უცხ. ს. 10; V22; V23; V25
	Progress test two				უცხ. ს. 10; V21; V23; V25
9	Have you got a talent?	ambitious person seek success fashionable things	teenagers' interests job opportunities life of a celebrity	Present perfect continuous	უცხ. ს. 1; V6; V10; V13; V18; V25; V26; V27
10	A Nobel prize winner	life experience major success be awarded Nobel Prize	career making	Passive forms for Simple tenses	უცხ. ს. 3; V7; V14; V20; V18; V27; V28
11	Which TV channel do you watch?	is prohibited entertainment programmes	TV companies, channels and programmes	Modals: must / have to	უცხ. ს. 3; V6; V12; V13; V20 V21; V22; V25
12	weather.com	changeable weather measure the temperature mild climate	weather forecast measuring temperature	Modals: should / had better	უცხ. ს. 3; V6; V11; V12; V17; V20; V23; V25
	Revision				უცხ. ს. 10; V22; V23; V25
	Progress test three				უცხ. ს. 10; V21; V23; V25
13	Movie legends	movie hero box-office name gifted actor/actress	Stars' lives teenagers' movie heroes	Yes/No and Wh-questions	უცხ. ს. 4; V7; V14; V17; V20; V25
14	Dear Mari...	heart of Tbilisi have drinks and snacks leisure centre	healthy lifestyle letter writing	Yes/No questions in reported speech	უცხ. ს. 2; V6; V11; V24; V25; V27
15	Diaries-our secret friends	complete disaster rely on trendy clothes/shops	friends / friendship diary writing	Verb + preposition	უცხ. ს. 3; V7; V15; V24; V25; V27
16	Wonders of nature	comparatively small make a discovery natural disasters	caves and preserves a tourist guide	Word formation	უცხ. ს. 1; V6 V13; V18; V25; V26
	Revision				უცხ. ს. 10; V22; V23; V25
	Progress test four				უცხ. ს. 10; V21; V23; V25
17	Can you cook?	favourite food preheat the oven sprinkle over	food / cakes recipes	Expressing the future	უცხ. ს. 4; V6; V13; V19; V25; V27; V29
18	You are what you eat	poor quality meals junk food digestive system	healthy food healthy lifestyle	Conditional 1	უცხ. ს. 2; V7; V14; V20; V26
19	Let's go shopping	pop in, try on looks trendy take advantage	shopping fashion	Conditional 2	უცხ. ს. 4; V8; V13; V20; V26
20	Quick shopping guide	reasonable price oldest district a wonderful selection	buying souvenirs types of stores	Wishes	უცხ. ს. 3; V9 V11; V13; V21; V25; V26
	Revision				უცხ. ს. 10; V22; V23; V25; V26

	გაკვეთილის სათაური	ენობრივი კონსტრუქციები	ლექსიკა თემატიკა	გრამატიკა	სტანდარტის შედეგები
	Progress test five				უცხ. ს. 10; V21; V23; V25; V26
21	Every city tells a story	unique sites fascinating city leave indifferent	big cities history/culture	Comparing adverbs	უცხ. ს. 4; V8; V14; V20; V25; V25; V26; V29
22	Let's go on a city tour	sightseeing tour get used to open-air museum	London tour historical sites	Future continuous	უცხ. ს. V3; V8; V21; V25; V26; V30
23	Olympic champions	strong will reach the goals beat the record	sport Olympic Games	Future in the past	უცხ. ს. V4; V9; V15; V20; V26
24	The ancient Olympics	hold Olympics compete in the Games crazy about	history of the Olympics Olympics champions	Past perfect	უცხ. ს. V4; V9; V16; V21; V25; V26; V27
	Revision				უცხ. ს. V10; V23; V24; V27
	Final test				უცხ. ს. V10; V21; V23; V25; V26

კომენტარები მოსწავლის წიგნთან დაკავშირებით

თითოეული გაკვეთილი ისეა აგებული, რომ მოცემული სავარჯიშოებისა და აქტივობების საშუალებით ხდება როგორც ოთხივე ენობრივი უნარ-ჩვევის განვითარება, ისე ენობრივი სისტემების სწავლება და/ან განმტკიცება. სახელმძღვანელოში გამოყენებული მეთოდოლოგია ინდივიდუალურ, წყვილებად, მცირე და დიდ ჯგუფებად მუშაობას ითვალისწინებს და მიმართულია მოსწავლის ცოდნის აქტივიზაციისაკენ. ამას ხელს უწყობს ის, რომ თითოეული გაკვეთილი - მასში მოცემული ტექსტები, კითხვის, მოსმენისა და წერის სავარჯიშოები - ერთი საერთო თემის (მაგ. ოჯახი, სკოლა, ბუნების დაცვა) ქვეშ ერთიანდება. გაკვეთილის თემა სათაურშივეა ასახული.

გაკვეთილების მოცულობა და სტრუქტურა ერთმანეთის მსგავსია. გაკვეთილი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: კითხვა, ლექსიკა, მოსმენა, გრამატიკა, ლაპარაკი და წერა. ვიმეორებთ, რომ სასურველია, მოსწავლეებმა მოსწავლის წიგნში მოცემული სავარჯიშოები რვეულებში გადაინერონ და ისე იმუშაონ. გაკვეთილის შემადგენელი ნაწილების და შესაბამისი სავარჯიშოების დეტალური აღწერა შემდეგია:

კითხვა (წაკითხვის გააზრება). გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემულია ტექსტი (მონათხრობი, განცხადება, რეკლამა, წერილი, ტურისტული ცნობარი, სატელევიზიო პროგრამა). ტექსტების თემატიკა მრავალფეროვანია: ახალგაზრდის სამყაროდან და ინტერესებიდან - მულტიკულტურულ რეალიებამდე. კითხვის სავარჯიშოები ამოწმებს და ავითარებს ტექსტიდან დეტალური (ფაქტობრივი) ინფორმაციის ამოკრების ან/და ძირითადი აზრის გაგების უნარს. სავარჯიშოების სახეებია: 1. კონტექსტიდან გამომდინარე გამოიცანი უცნობი სიტყვების მნიშვნელობა; 2. ტექსტს/აზრას მიუსადაგე შესაფერისი სათაური; 3. ამოიცანი ფაქტობრივი ინფორმაცია: დრო, თარიღი, ადგილი, პერსონაჟი; 4. გამოიცანი დებულება სწორია თუ მცდარი და ა.შ. გამოიყენება ასევე კითხვის წინარე (pre-reading) სავარჯიშოებიც, რომლებიც მოსწავლეს კითხვისთვის ამზადებს და, გარკვეულწილად, მოცემული ტექსტის კითხვის სტიმულს აძლევს (მაგ. იმსჯელეთ მოცემულ საკითხზე, უპასუხეთ შეკითხვებს და ა.შ.).

მოსმენა. გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემულია ტექსტის (მონათხრობი, სიტუაციური დიალოგი, ინტერვიუ, რეკლამა) ჩანაწერი. ჩანაწერების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: ქართველი და სხვა ეროვნების თინეიჯერების ცხოვრება და მათი ინტერესთა სფეროები; ცალკეული ქვეყნების გეოგრაფია, ისტორია, ყოფა, კულტურა და ა.შ. მოსმენის სავარჯიშოების ჩანაწერი გაკეთებულია ინგლისელების და ამერიკელების, ასევე ქართველი ახალგაზრდების მიერ. მოსმენის სავარჯიშოები ამოწმებს და ავითარებს ტექსტიდან დეტალური ინფორმაციის ამოკრების ან/და ძირითადი აზრის გაგების უნარს. სავარჯიშოების სახეებია: 1. ამოიცანი ფაქტო-

ბრივი ინფორმაცია: პერსონაჟი, დრო, თარიღი, ადგილი; 2. გამოიცანი დებულება სწორია თუ მცდარი; 3. მოკლედ უპასუხე შეკითხვებს; 4. დაასრულე აზრი. გამოიყენება ასევე მოსმენის წინარე (pre-listening) საავჯიმოებიც, რომლებიც მოსწავლეს ჩანაწერის მოსმენისთვის ამზადებს და, გარკვეულწილად, მოსმენის სტიმულს აძლევს (მაგ. ამოიცანი, მოცემული სიტყვებიდან რომელია გამოყენებული ჩანაწერში).

დაუშვებელია მოსმენის სავარჯიშოების უგულვებლყოფა. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს არ აქვს მაგნიტოფონის გამოყენების საშუალება, იგი ვალდებულია ან თვითონ წაიკითხოს ჩანაწერი, ან წააკითხოს იგი იმ მოსწავლეს, რომელსაც კარგი გამოთქმა და დიქცია აქვს.

ლაპარაკი. გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემული სავარჯიშოები ითვალისწინებს მოსწავლის მონაწილეობას რეალურ ან სიმულაციურ სიტუაციებში (role play). მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, მცირე და დიდ ჯგუფებში. ასეთი მეთოდის გამოყენების შედეგად მოსწავლეს უვითარდება ისეთი სამეტყველო უნარ-ჩვევები, როგორცაა: 1. საკუთარი აზრის გადმოცემა და დაცვა; 2. თემატურად საშუალო სირთულის დებატებში მონაწილეობა; 3. ინტერვიუს აღება; 4. ამბის მოყოლა; 5. განსხვავებული მოსაზრების მოსმენა. მოსწავლე კომუნიკაციური მიზნებისთვის იყენებს გაკვეთილის სხვა ნაწილებში მოცემულ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალას, ვარჯიშობს შეკითხვების დასმაზე, საკუთარი პოზიციის დაცვაზე, გაუგებრობის შემთხვევაში განმარტების მოთხოვნაზე, გრამატიკულად და ლექსიკურად სწორად საუბარზე და ა. შ.

წერა. გაკვეთილის ამ ნაწილში მოცემული სავარჯიშოების საშუალებით მოსწავლე სწავლობს აზრის გადმოცემას ერთი აზრის მოცულობის ფორმატში (60-90 სიტყვა). მოსწავლე სწავლობს: 1. საშუალო სირთულის წერილის დაწერას ფამილარული და თავაზიანი ფორმების გათვალისწინებით; 2. ტურისტული მეგზურის ან დღიურის დაწერას; 3. მოკლე თხზულების დაწერას; 4. აზრის თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემას; 5. საკუთარი და ჯგუფის პოზიციის წერილობით გადმოცემას; ყველა შემთხვევაში მოსწავლემ უნდა დაიცვას გრამატიკული, ორთოგრაფიული და ლექსიკური ნორმები. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეს წინაშე ეძლევა თემატური საწყისი წინადადება (topic sentence) და საჭირო ლექსიკა. უმეტეს შემთხვევაში წერიტი სავარჯიშო ლაპარაკის სავარჯიშოს ლოგიკური გაგრძელებაა: მოსწავლემ წერილობით უნდა გადმოსცეს ის ინფორმაცია, რომელიც მას წყვილთან ან ჯგუფის წევრთან ლაპარაკის დროს დაუგროვდა.

გრამატიკა. პროგრამით გათვალისწინებული გრამატიკული მასალა მოცემულია მაგალითებზე დაყრდნობით და კონტექსტის გათვალისწინებით. იგი ხშირად კომბინირებულია ლაპარაკის ან წერის სავარჯიშოებთან. ნაცნობი (წინა წლებში ნასწავლი) გრამატიკული მასალის მიწოდებისას გამოიყენებულია, უმეტესწილად, დედუქციის მეთოდი. მაგალითების დახმარებით მოსწავლე თვითონ, ან მასწავლებლის მცირე დახმარებით. "აღმოაჩენს" გრამატიკულ წესებს. ახალი გრამატიკული მასალის მიწოდებისას კი გამოიყენება როგორც დედუქციური, ისე ინდუქციური მეთოდი. სავარჯიშოების ტიპებია: 1. წაკითხვით ტექსტი და კონტექსტის გათვალისწინებით ზმნები ჩასვი სწორ ფორმებში; 2. დაასრულე მეორე წინადადება ისე, რომ იგი შინაარსობლივად პირველის მსგავსი იყოს; 3. მოცემული სიტყვებიდან ააგე სწორი წინადადება და ა. შ.

ლექსიკა. ახალი სიტყვები მოსწავლეს მიეწოდება კონტექსტურად. კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლემ უნდა გამოიცნოს ახალი სიტყვის და ფრაზის მნიშვნელობა. გამოიყენებულია შემდეგი ხერხი: ტექსტში გახაზულია დაახლოებით 6-8 ახალი სიტყვა ან ფრაზა. მოსწავლეს მოეთხოვება ფართო და ვიწრო კონტექსტზე დაყრდნობით მიხედვით გახაზული სიტყვების და ფრაზების მნიშვნელობა, თარგმანის (ლექსიკონის) გამოყენება, ან მასწავლებლის დახმარება ახალი სიტყვის მნიშვნელობის განმარტებისთვის დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლე კონტექსტურად 'გრძნობს' სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ უჭირს მშობლიურ ენაზე მისი ზუსტი შესატყვისის მოძებნა. სავარჯიშოების ტიპებია: 1. კონტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრე სიტყვის მნიშვნელობა; 2. წაკითხვით ტექსტი და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვი საჭირო სიტყვები; 3. თემატურად დააჯგუფე სიტყვები; 4. დაანვილე სიტყვები მათ განმარტებასთან და ა. შ.

თემატიკა. სახელმძღვანელოში გამოიყენება შემდეგი თემატიკა: სკოლა, ოჯახი, ისტორია, ეკოლოგია/ზუნების დაცვა, თანამედროვე ტექნოლოგიები, გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება და შემოქმედება; ხელოვნება, თავისუფალი დრო, დღესასწაულები და სხვ. გათვალისწინებულია ქართული, ბრიტანული, ამერიკული და სხვა ქვეყნების კულტურული რეალიები, ასევე - 14-16 წლის ახალგაზდების ინტერესების სფეროები.

მასწავლებელმა გაკვეთილი სწორი და თანმიმდევრული მეთოდით უნდა წარმართოს. მან სათანადო დრო და ყურადღება უნდა დაუთმოს გაკვეთილის ყოველ ნაწილს. დაუშვებელია გაკვეთილის რომელიმე ნაწილის გამო-

ტოვება (მაგ. მოსმენის სავარჯიშოების) ან მეთოდურად არასწორად მიწოდება (მაგ. ტექსტში გახაზული სიტყვების თარგმანის წინასწარ მიცემა). მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები სავარჯიშოების ინსტრუქციის მოთხოვნის დამოუკიდებლად გააზრებას მიაჩვიონ. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ ახალი მასალით დაინტერესოს მოსწავლეები, ჩართოს ისინი სხვადასხვა სახის აქტივობებში და, ამით მათ ახალი მასალის სწავლის სურვილი გაუღვივოს.

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები

სასწავლო მასალის წარდგენისას მასწავლებელმა აუცილებელია დაიცვას ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობა. ამაში მას წიგნის მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა ეხმარება. თითოეულ გაკვეთილში (Unit) სავარჯიშოების თანმიმდევრობა სასწავლო მასალის წარდგინების ფაზებს ემთხვევა. ეს ფაზები შემდეგია:

ა. მოტივაცია

კითხვის და მოსმენის სავარჯიშოებს წინ უსწრებს კითხვის ან მოსმენის წინარე სავარჯიშოები (pre-reading; pre-listening). ეს სავარჯიშოები მოსწავლეს აღუძრავს ინტერესს წასაკითხი ან მოსასმენი მასალის მიმართ და ზრდის ახალი მასალის გაცნობის და ათვისების მოტივაციას. ამის მაგალითია წინასწარი მსჯელობა და პირადი აზრის ან ვარაუდის გამოთქმა წასაკითხი ან მოსასმენი თემის გარშემო. გაკვეთილის ეს ფაზა სასურველია მოკლე იყოს და მხოლოდ 2-3 წუთი გრძელდებოდეს.

ბ. საკითხის დასმა/დავალების განსაზღვრა

მოტივაციის სავარჯიშოს მოსდევს მომდევნო სავარჯიშოს ინსტრუქციის გაცნობა და იმაში გარკვევა, თუ რისი გაკეთება მოეთხოვება მოსწავლეს. ეს საკითხის დასმის და დავალების განსაზღვრის ფაზაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს ინსტრუქციის მასწავლებლისგან დამოუკიდებლად წაკითხვა და დავალების ზუსტად განსაზღვრა. გაკვეთილის ეს ფაზა ასევე ხანმოკლეა და თითოეული დავალებისთვის 1-2 წუთზე მეტი არ უნდა გრძელდებოდეს.

გ. ძირითადი სასწავლო მასალა

ძირითადი სასწავლო მასალა შეიძლება იყოს: კითხვის, მოსმენის, ლაპარაკის, წერის ძირითადი სავარჯიშოები, ასევე გრამატიკული და ლექსიკური მასალა. გაკვეთილის მიზანი ამ დავალებების გააზრება-გაკეთებაა და, შესაბამისად, გაკვეთილის უმეტესი ნაწილი (დროის 70-80 %) მათ ეთმობათ. მასწავლებელი მხოლოდ მას შემდეგ გადადის მომდევნო დავალებაზე, რაც დარწმუნდება, რომ ძირითადი სასწავლო მასალა გაიგო და დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ. ეს გაკვეთილის ის ფაზაა, როდესაც (მაგ. ტექსტის კითხვის შემთხვევაში) მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, 'აღმოაჩენენ' ახალი სიტყვების მნიშვნელობას, ესმით ტექსტის დეტალები და მისი დედააზრი, ანალიზებენ და მსჯელობენ შინაარსზე. ძირითად სასწავლო მასალაზე მუშაობის დროს მასწავლებელი ასწორებს და განმარტავს შეცდომებს, ვარჯიშობს ახალ ლექსიკურ და გრამატიკულ მასალაზე და ა.შ. გაკვეთილის ამ ფაზის დასასრულს მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, რომ ახალი მასალა დამოუკიდებლად ან მასწავლებლის მცირედი დახმარებით გამოიყენონ ლაპარაკისა და წერით აქტივობებში, მომავალში კი — რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

დ. საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები ისეთი დავალებებია, როგორცაა, მაგ. (კითხვის შემთხვევაში):

1. წაკითხვით ტექსტი და კონტექსტიდან გამომდინარე შეეცადე გამოიცილო გახაზული სიტყვების მნიშვნელობა; 2. წაკითხვით ტექსტი და აზრს მიუხადავად სათაურები და ა.შ. ამ სავარჯიშოების საშუალებით მოსწავლე ეტაპობრივად ეცნობა და ეუფლება ახალ მასალას, უფითარდება ინგლისურ ენაზე კითხვის, მოსმენის, ლაპარაკისა და წერის უნარ-ჩვევები.

ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები ისეთი სავარჯიშოებია, როდესაც მოსწავლე წასწავლ მასალას პრაქტიკაში - წერით ან ზეპირი კომუნიკაციისთვის - იყენებს. ასეთია კითხვის და წერის შემდგომი (post-reading; post-listening) სავარჯიშოები. ასეთი სახის აქტივობები ამყარებს მიღებულ ცოდნას და მოსწავლეს მასალაზე დამატებითი ვარჯიშის და მისი გამეორება - განმტკიცების საშუალებას აძლევს. დამაგვირგვინებელ ეტაპზე მოსწავლე ძირითადი ლექსიკური და გრამატიკული მასალის გამოყენებით საუბრობს გარკვეულ თემაზე, კამათობს, ზეპირად ან წერილობით გადმოსცემს საკუთარ აზრს და ა.შ. ამ ფაზის დროს, რომელიც გაკვეთილის ბოლო ფაზაა, მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თავისუფლად ისაუბრონ ინგლისურად და დაამყარონ კომუნიკაცია. ამ დროს შეცდომების გასწორება მიზანშეწონილი არ არის.

ვ. დამოუკიდებელი სამუშაო

საშინაო დავალების მიცემა გაკვეთილის ბოლო ეტაპია. ეს, უმეტეს შემთხვევაში, არის სავარჯიშოების კრებულში მოცემული მასალა. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს გაკვეთილზე დრო არ რჩება მოსწავლის წიგნში მოცემული ყველა სავარჯიშოს გასაკეთებლად, შესაძლებელია, რომ ეს სავარჯიშოებიც დამოუკიდებელი სამუშაოს ნაწილი გახდეს. მთავარი არის ის, რომ მოსწავლემ დაძლიოს ის სამუშაო, რასაც მას მასწავლებელი დამოუკიდებელი სამუშაოსთვის მისცემს. ამისათვის კი სათანადო ბაზა გაკვეთილზე უნდა მომზადდეს.

გაკვეთილის დაგეგმვა

არ არსებობს გაკვეთილის დაგეგმვის ერთი უნიფიცირებული სქემა. ყოველი გაკვეთილი ინდივიდუალური და შემოქმედებითია. გამოვყოფთ გაკვეთილის დაგეგმვის მხოლოდ ზოგად და აუცილებელ კრიტერიუმებს. მათი პრაქტიკული ხორცშესხმა ხდება კონკრეტული გაკვეთილის მასალიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს:

1. გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი კონკრეტული მიზანი ან მიზნები;
2. რომელი და რამდენი სავარჯიშოს გაკეთებას გეგმავს;
3. რა დრო უნდა დაეთმოს თითოეულ სავარჯიშოს;
4. რა არის თითოეული სავარჯიშოს ან აქტივობის მიზანი;
5. რა ძირითადი და/ან დამხმარე მასალა სჭირდება მას.
6. რომელია კლასში სამუშაო მასალა და რომელი — სახლში, ინდივიდუალურად.

პირველი გაკვეთილის მაგალითზე წარმოგიდგინთ გაკვეთილის დაგეგმვის ცხრილს. ანალოგიურად აიგება სხვა გაკვეთილის ცხრილებიც.

Unit 1: Welcome to my website

სასწავლო მიზნები	აქტივობები	მოსწავლეების ორგანიზება	დროის განაწილება	რესურსები	შემოწმება
გაკვეთილის ბოლოს მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1. ისაუბროს საკუთარი თავის, ოჯახის წევრების და მეგობრების შესახებ; 2. საუბრისას გამოიყენოს ახალი ლექსიკა და გრამატიკა; 3. მოსმენისას ამოიცნოს პერსონაჟები; 4. შეავსოს მარტივი ფორმის კითხვარი; 5. მასწავლებლის ნაწილობრივი დახმარებით გაიგოს სავარჯიშოების ინსტრუქციები.	კითხვის (1,2,3), ლექსიკის (5,6,7) და გრამატიკის (11,12,13) სავარჯიშოები; მოსმენის (8,9,10) ლაპარაკის (14) და წერის (15) აქტივობები.	მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად (სავ. 2,3,4,5,6,7,9, 10, 11,12,13); წყვილებად ან მცირე ჯგუფებად (სავ. 1, 8, 15).	მასალა იფარება 3 აკადემიური საათის განმავლობაში; მე-4 საათი ხმარდება სავარჯიშოების კრებულის შესაბამის სავარჯიშოებს. კითხვის და ლექსიკის სავარჯიშოებს ეთმობათ მთლიანი დროის 35%; მოსმენის აქტივობებს - 15%; გრამატიკის - 15%; ლაპარაკის და წერის აქტივობებს - 35%.	მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების კრებული, კალმისტარი, დაფა, ცარცი, მაგნიტოფონი, კასეტა, მოსწავლის ინდივიდუალური რვეული.	მასწავლებელი აფასებს მოსწავლეს იმისდამიხედვით, თუ: • რამდენად ხარისხიანად შეასრულა მოსწავლემ სავარჯიშოები; • რამდენად აქტიურად იყო ჩართული მოსწავლე კითხვის, მოსმენის, ლაპარაკის და წერის აქტივობებში; • რამდენად ზუსტად და სწრაფად ასრულებდა იგი მასწავლებლის მითითებებს.

სანიმუშო გაკვეთილის სცენარი

სანიმუშო გაკვეთილის სცენარი განვიხილოთ მე-5 გაკვეთილის მაგალითზე.

Unit 5. The world of teenagers

გაკვეთილის ზოგადი მიზანი: კითხვის უნარ - ჩვევის განვითარება; ახალი ლექსიკური ერთეულების (recent survey, improve, paper-rounds, adults, etc.) ათვისება.

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წუთი

მასალა: სავარჯიშოები 1-6.

სავარჯიშო 1

მიზანი: ტექსტის კითხვისთვის მომზადება (pre-reading).

ხანგრძლივობა: დაახლ. 2-3 წუთი

პროცესი: მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ სანამ ისინი ძირითადი ტექსტის წაკითხვას დაიწყებდნენ, სასურველია, რომ გაიგონ ერთმანეთის აზრი შემდეგი დებულების შესახებ: *There are many teenagers who care more about music than about education.* მოსწავლეები საუბრობენ წყვილებად. ასეთი სახის აქტივობის დროს კლასში ხმაური, რადგანაც წყვილები ერთად საუბრობენ. მასწავლებელი არ აკონტროლებს მოსწავლეების საუბარს, მაგრამ ახსენებს მათ, რომ ამ აქტივობისთვის მათ მხოლოდ ორი წუთი აქვთ და დროის გასვლის შემდეგ მიუთითებს საათზე და სინყნარისკენ მოუწოდებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები მხოლოდ ინგლისურად საუბრობდნენ. მასწავლებელი ამას მუდმივად აკონტროლებს.

სავარჯიშო 2

მიზანი: ტექსტის შინაარსის გაგება და კონტექსტზე დაყრდნობით ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის ამოცნობა (reading comprehension).

ხანგრძლივობა: დაახლ. 15 წუთი

პროცესი: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დამოუკიდებლად წაკითხონ სავარჯიშოს ინსტრუქცია და ხმამაღლა განმარტონ, თუ რის გაკეთებას ითხოვენ მათგან. აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგონ სავარჯიშოს მოთხოვნა. დავალების განმარტების შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ტექსტის დამოუკიდებლად (ჩუმად) კითხვას. მასწავლებელი დროს აკონტროლებს და წინასწარ ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ ამ სავარჯიშოს გასაკეთებლად მხოლოდ 6-7 წუთი აქვთ. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რამდენად გაიგეს მათ გახაზული სიტყვების მნიშვნელობა და რამდენად მოეხმარა მათ ამაში კონტექსტი. ტექსტის და ახალი სიტყვების გარშემო მსჯელობა გრძელდება კიდევ 7-8 წუთი, რის დროსაც მოსწავლეები განმეორებით კითხულობენ ტექსტს და/ან მის ცალკეულ ნაწილებს.

სავარჯიშოები 3, 4

მიზანი: სელექციური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება (selective reading).

ხანგრძლივობა: დაახლ. 10 წუთი

პროცესი: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაკითხონ მე-3 სავარჯიშოს ინსტრუქცია. მოსწავლეები ინსტრუქციას კითხულობენ დამოუკიდებლად და წყვილებად მსჯელობენ დავალების შესახებ. მასწავლებელი მათ განუმარტავს, რომ პასუხები შეიძლება ჩანერონ წიგნშივე მოცემულ ცხრილში, ან გადაიტანონ რვეულში. მოსწავლეები იწყებენ მე-4 და შემდგომ, მე-5 სავარჯიშოს კეთებას. მუშაობენ ჩუმად. მუშაობის პროცესში შესაძლებელია პასუხების სისწორე ერთმანეთში გადაამოწმონ (peer correction). მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ამ სავარჯიშოების გაკეთება მესხიერებაზე დაყრდნობით არ შეიძლება და, რომ სავარჯიშოებზე პასუხი მათ აუცილებლად ტექსტში უნდა მოძებნონ. იმის შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ ორივე სავარჯიშოს გაკეთებას, ისინი წყვილებად იწყებენ მუშაობას და პასუხებს ერთმანეთს ადარებენ. შემდეგ მასწავლებელი მასწავლებლის წიგნიდან ხმამაღლა ამოიკითხავს სწორ პასუხებს. მოსწავლეები ითვლიან, თუ რამდენი საკითხი გააკეთეს სწორად. მაგ. 14 საკითხიდან დააგროვეს 10 ან 7 სწორი პასუხი (self-assessment). შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ერთმანეთის გასაგონად ხმამაღლა ამოიკითხონ ტექსტიდან პასუხები. ტექსტის ნაწილების ხმამაღლა ამოკითხვის მიზანი სწორი წარმოთქმის გაკონტროლებაა არის. ეს ბოლო ეტაპი მასწავლებელმა სწაფად უნდა გაიაროს.

ალტერნატივა: სწორი პასუხების წაკითხვა და გაანალიზება შეიძლება მოხდეს თითოეული სავარჯიშოს დასრულებისთანავე.

სავაჯიშოები 5, 6

მიზანი: ახალი ლექსიკის ათვისება (vocabulary practice).

ხანგრძლივობა: დაახლ. 12-15 წუთი

პროცესი: მასწავლებელი განუმატავს მოსწავლეებს, რომ იწყება ვარჯიში ახალ სიტყვებზე და ფრაზებზე. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ სავარჯიშოებში მოცემული ყოველი სიტყვა და ფრაზა ტექსტშია გამოყენებული და, რომ მათ ისევ მოუწევთ ტექსტის გადაკითხვა. მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ მე-5 სავარჯიშოს ინსტრუქციას და აკეთებენ მას. ასევე დამოუკიდებლად ასრულებენ ისინი მე-6 სავარჯიშოს. შესაძლებელია, რომ ორივე სავარჯიშო ან ერთ-ერთი მათგანი წყვილებში ან 3-4 კაციან ჯგუფებში გაკეთდეს. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ ისინი ამ აქტივობისთვის გამოყოფილ დროში უნდა ჩაეტიონ. დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს სწორ პასუხებს. მოსწავლეები ითვლიან, თუ რამდენი სწორი პასუხი დააგროვეს (მაგ. 10 საკითხიდან 6 ან 9). კლასი ერთად მსჯელობს შეცდომებზე.

დროის დაზოგვის მიზნით მოსწავლეებს სავ. 6 შეიძლება მიეცეთ საშინაო დავალებად სავაჯიშოების წიგნის შესაბამის სავარჯიშოებთან ერთად.

დარჩენილ დროს (დაახ. 5 წუთი) მასწავლებელი იყენებს საშინაო დავალების მისაცემად, კითხვებზე პასუხის გასაცემად და სხვ.

შეფასების ფორმები და რეკომენდაციები

მოსწავლის ცოდნა ფასდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

1. ზეპირი და კითხვითი საკლასო აქტივობები
2. საკლასო წერა
3. საშინაო დავალება
4. საკონტროლო სამუშაო

მოსწავლეს ეძლევა ორგვარი შეფასება: **მიმდინარე და შემაჯამებელი.**

შეფასების პირველი სამი კომპონენტი (ზეპირი და კითხვითი საკლასო აქტივობები, საკლასო წერა და საშინაო დავალება) გულისხმობს მიმდინარე შეფასებას, ხოლო მე-4 კომპონენტი (საკონტროლო სამუშაო) — შემაჯამებელ შეფასებას. შეფასების კომპონენტების პროცენტული შემადგენლობა შემდეგია:

- ზეპირი და საკლასო წერითი აქტივობები: 20%
- საკლასო წერა: 20%
- საშინაო დავალება: 10%
- საკონტროლო სამუშაო: 50%

მიმდინარე შეფასება

მიმდინარე შეფასების საგანი სასწავლო პროცესია, ხოლო მიზანი — მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა მათი დახმარებისა და სწავლის დონის ამაღლების მიზნით. მიმდინარე შეფასებისთვის მასწავლებელი იყენებს მოსწავლის წიგნში და სავარჯიშოების კრებულში მოცემულ სავარჯიშოებს და აქტივობებს. მიმდინარე შეფასების პირველი კომპონენტია **ზეპირი და საკლასო წერითი აქტივობები**. იგი ფასდება ენობივი უნარ-ჩვევების და ენობივი სისტემების შემდეგი აქტივობებით.

- კონტექსტის მიხედვით უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა.
- ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრება.
- კითხვებზე მოკლე პასუხების გაცემა.
- სათაურების აბზაცებთან ან ტექსტთან მისადაგება.
- სწორი/მცდარი დებულებების განსაზღვრა.
- ჩანაწერის მოსმენისას სიტყვების ან ფრაზების ამოცნობა.
- ჩანაწერის მოსმენისას გამოტოვებულ ადგილებში სიტყვების ჩანერა.
- კითხვების დასმა/სათანადო პასუხების გაცემა.
- სიმულაციური დიალოგის/სიტუაციის გათამაშება.
- დებატებში მონაწილეობა/ამბის მოყოლა.

- გამოტოვებულ ადგილებში სწორი ფორმების/სიტყვების/ფრაზების ჩასმა.
- წინადადებების ტრანსფორმაცია.
- სიტყვების და ფრაზული ზმნების წარმოება.
- ქართული და ინგლისური შესატყვისობების დადგენა.
- თვითშეფასება, თანაშეფასება

მიმდინარე შეფასების მეორე კომპონენტია **საკლასო წერა**. იგი ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- სტრუქტურულად და ორთოგრაფიულად სწორი და აზრობრივად გამართული წინადადებების დანერგა.
- მისალოცი ბარათის, წერილის, სარეკლამო აფიშის, ტურისტული ცნობარის შედგენა.
- 60-90 სიტყვის მოცულობის აბზაცის დანერგა (paragraph writing).

მიმდინარე შეფასების მესამე კომპონენტია **საშინაო დავალება**. იგი ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- შესრულებული დავალების ხარისხი.
- დავალების შესრულების სისტემურობა.

აქტივობების ჩამონათვალი შეესატყვისება ინგლისური ენის სტანდარტის მოთხოვნებს. ჩამონათვალი არასრულია. სახელმძღვანელოში გამოყენებული აქტივობების რაოდენობა აქ მოტანილზე მეტია. არასრულია აგრეთვე გრამატიკული ცოდნის შესაფასებელი აქტივობების ჩამონათვალი. სრული ნუსხა იხ. შინაარსისა და მიზნების რუკაში.

შემაჯამებელი შეფასება

მიმდინარესაგან განსხვავებით, შემაჯამებელი შეფასების ობიექტია არა სწავლის პროცესი, არამედ მოსწავლის საბოლოო მიღწევები სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. შემაჯამებელი შეფასება ხორციელდება **ტესტების კრებულში მოცემულ ტესტების** (საკონტოლო სამუშაო) და **ზეპირი გამოკითხვის** საშუალებით. ტესტების კრებულში მოცემული 6 ტესტი აკადემიური წლის განმავლობაში შემდეგნაირად ნაწილდება:

I ტრიმესტრი: **Progress Test 1; Progress Test 2**

II ტრიმესტრი: **Progress Test 3; Progress Test 4**

III ტრიმესტრი: **Progress Test 5; Final Test**

ტესტების ასეთი განაწილების მიხედვით მასწავლებელს ტრიმესტრში ორი საკონტოლო წერის ჩატარება უნევს: 1 - ტრიმესტრის შუაში და, 1 - ბოლოს. წლის ბოლოს ტარდება Final Test, რომელიც აერთიანებს მესამე ტრიმესტრის და მთელი წლის მასალას და, შესაბამისად, შედეგები მასწავლებელმა წლის საბოლოო შეფასებისთვის შეიძლება გამოიყენოს. ტესტის შეფასების კრიტერიუმები მარტივია: კითხვის, ლექსიკის და გრამატიკის თითოეული საკითხი ფასდება 1 ქულით, წერა — 10 ქულით. მთლიანი ტესტის მაქსიმალური ქულა არის — 50. ტესტის სტრუქტურა და საკითხებისა და ქულების შეფარდება სქემატურად ასე გამოიყურება:

რა მონმდება	საკითხები	მაქსიმალური ქულა
წაკითხულის გააზრება	1-10	10
ლექსიკა	11-25	15
გრამატიკა	26-40	15
წერა		10
მთლიანი ტესტის მაქსიმალური ქულა		50

ტესტების სტრუქტურა და შეფასების სისტემა იმის საშუალებას იძლევა, რომ შეფასდეს როგორც მთლიანი ტესტი, ისე მისი ცალკეული ნაწილები. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც მოსწავლე თვითონ ხედავს თუ ტესტის რომელ ნაწილში აქვს უფრო მეტი მიღწევები და რომელში — ნაკლები. შედეგების გათვალისწინებით სწავლის პროცესი უფრო ეფექტური და მაღალ შედეგებზე ორიენტირებული ხდება.

ტესტები სწორდება მასწავლებლის წიგნში მოცემული პასუხების (Answer keys) მიხედვით. **დაუშვებელია ტესტების გასწორება და მოსწავლისთვის ქულის მინიჭება საკუთარი მოსაზრებით, პასუხების სქემის გარეშე.** ამ შემთხვევაში ობიექტურობა და სტანდარტიზაცია ვერ იქნება მიღწეული. წერის დავალების გასწორების დროს მასწავლებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს სპეციალური შეფასების სქემით (გვ.14), რომელიც მან წინასწარ კარგად უნდა შეისწავლოს. მოსწავლის ნაწერის შეფასებისას მასწავლებელმა ზუსტად უნდა დაიცვას ის კრიტერიუმები, რაც წერიტი დავალების შეფასების სქემაშია მოყვანილი. დიდია ტესტების შედეგების მნიშვნელობა მოსწავლეების შემაჯამებელი ტრიმესტრული და წლიური შეფასებისთვის. შესაბამისად, დაუშვებელია გასწორების პროცესში რაიმე სახის უზუსტობა, რაც მოსწავლის არაობიექტური შეფასების მიზეზი შეიძლება გახდეს.

მასწავლებელმა ტესტის 50 ქულა 10-ბალიან შეფასებაში შემდეგი სქემით უნდა გადაიყვანოს:

ტესტის ქულა	50-47	46-43	42-39	38-35	34-31	30-27	26-23	22-19	18-15	14-11	10-0
10 -ბალიანი შეფასება	10	9	8	7	6	5	4	3	2	1	0

საკონტროლოების და ტესტების ნიმუშები

მოგვყავს კითხვის და წერიტი დავალების ნიმუშები. მოგვყავს ასევე წერიტი დავალების შეფასების სქემა და წერიტი დავალების გასწორების ნიმუში.

Vocabulary: One point for each correct answer

- *Read the text and fill in the missing words. One word is extra. The first has been done for you as an example.*

beautiful	book	children	countries	magical	member
sixteenth	story	told	wrote	very	words

What is a fairy tale?

A fairy tale is a story in which magical (0) things happen. Traditionally, every fairy tale begins with the (1): "Once upon a time". Most of the fairy tales we know are (2) old. For example, the story of Cinderella was first (3) at least 1000 years ago. The same stories are often found in many (4) and no one knows who first invented them. Most of the fairy tales are about a young (5) of the family, who is kind and brave. Young women are usually very (6) and successful. The oldest European (7) of fairy tales was published in Italy in the (8) century. Later, in 1697, a Frenchman, Charles Perrault, (9) and published a book of fairy tales. They became very popular. Thousands of (10) in Europe and America started reading them. In Germany the Grimm brothers are famous for having collected many of the best-known fairy tales.

Vocabulary / 10

Writing: Maximum number of points 10.

- You have moved to a new house. Describe the house and write about two things you like there. Write between 70-80 words.

I have moved to a new house

Writing / 10

შეფასების სქემა ტესტის წერთი დავალებისთვის

იგივე სქემის გამოყენება მიზანშეწონილია მოსწავლის ნიგნის წერთი დავალებების შესაფასებლად.

ქულა	როგორ პასუხობს ნაწერი დავალებას Task fulfillment	როგორ არის დაცული გრამატიკული, ლექსიკური და ორთოგრაფიული სიზუსტე. Accuracy	ქულა
5-4	ნაწერი კარგია. აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული. სრულყოფილად არის გაცემული პასუხი დავალებაზე. მოყვანილია 1-2 ფაქტი და/ან მაგალითი.	გრამატიკული შეცდომების რაოდენობა ორს არ აღემატება. წინადადებების წყობა გამართულია. ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია. დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაში.	5-4
3-2	ნაწერი საშუალო დონისაა. აზრი ჩანს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მას თანმიმდევრობა აკლია, მოყვანილია მხოლოდ ერთი ფაქტი და/ან მაგალითი.	დაშვებულია 3-ნ გრამატიკული შეცდომა. წინადადებების წყობა ძირითადად კარგია, თუმცა არის 1-2 გამოწვევა. ლექსიკა მოთხოვნაზე უფრო მარტივია. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაში.	3-2
1-0	ნაწერი სუსტია. აზრის გაგება ჭირს, წინადადებებს შორის კავშირი არ ჩანს. მაგალითი ან არ არის მოყვანილი, ან იგი ძალიან მარტივი და უმნიშვნელოა.	დაშვებულია 7-ზე მეტი გრამატიკული შეცდომა. წინადადებების წყობა არასწორია. ლექსიკა მეტად მარტივი და შეუსაბამოა. ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს.	1-0

მოგვყავს წერთი დავალების გასწორების ნიმუში ზემოთ მოცემული შეფასების სქემის მოთხოვნების მიხედვით:

- You have moved to a new house. Describe the house and write about two things you like there. Write between 70-80 words.

I have moved to a new house. In my old house I have many friends and neighbours. Now I have my room. I think is very good to have a room as your friend come to you and you can sit and talk and you listen to music. I also like that my very good friend lives near my new house. We often meet now and I go to her house and she come to my house. But I remember my old house and I sometimes go their.

Writing .. 7 .. / 10

შეფასება:

Task fulfillment: 5 ქულა: აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული. სრულყოფილად არის გაცემული პასუხი დავალებაზე. მოყვანილია 2 ფაქტი (Now I have my room; my friend lives near my house).

Accuracy: 2 ქულა: დაშვებულია 6 გრამატიკული შეცდომა (შეცდომები გახაზულია). წინადადებების წყობა ძირითადად კარგია. ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაში(also, there).

ნაწერის მოცულობა მოთხოვნაზე უმნიშვნელოდ დიდია (სიტყვების რაოდენობა არის 87); ეს შეფასებაზე არ მოქმედებს.

საბოლოო შეფასება: 7 ქულა

შენიშვნა: მოსწავლე არ შეფასდება, თუ ნაწერი არ პასუხობს დავალებას, მაგ. თუ იგი ახალი სახლის ნაცვლად წერს იმაზე, თუ როგორ ატარებს თავისუფალ დროს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნაწერი მოთხოვნაზე შესამჩნევად დიდი ან მცირეა, მოსწავლეს აკლდება 1 ქულა (მაგ. დავალების მოთხოვნაა 70- 80 სიტყვა, მოსწავლემ კი დაწერა 40 სიტყვა).

დანართი I

**ინგლისური ენის სტანდარტი
V დონე**

მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
მოსმენა	მოსმენა	წერა
<p>უცხს.V. 1. მოსწავლე ისმენს და იგებს უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე ინტერაქციას (დიალოგი, ინტერვიუ), მონოლოგს.</p> <p>უცხს.V. 2. მოსწავლე ისმენს და იგებს რადიო-ტელეგადაცემებს, აუდიო-ვიდეო-ტექსტებს და ზეპირ გამოსვლას ნაცნობ ან მისთვის საინტერესო თემატიკაზე (რეპორტაჟი, დოკუმენტური გადაცემა, ლექცია).</p> <p>უცხს.V. 3. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას მოსასმენი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად.</p>	<p>უცხს.V. 4. მოსწავლე კითხულობს და იგებს სხვადასხვა თემაზე შექმნილ შემეცნებით ტექსტს (ისტორიული, კულტურული, არქეოლოგიური, გეოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა).</p> <p>უცხს.V. 5. მოსწავლე კითხულობს და იგებს საგაზეთო პუბლიკაციებს მისთვის საინტერესო აქტუალურ თემებზე (მაგალითად, ინტერნეტის/მობილურის/მპპ-ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, უსაფრთხო სკოლა, როკ-მუსიკა, განსხვავება ბიჭებსა და გოგონებს შორის და სხვა);</p> <p>უცხს.V. 6. მოსწავლე კითხულობს და იგებს ადაპტირებულ მოთხრობას/ნოველას.</p> <p>უცხს.V. 7. მოსწავლე კითხულობს და იგებს კომიქსს.</p> <p>უცხს.V. 8. მოსწავლე ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს, ნასწავლ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და მათ ფუნქციას შინაარსიან კონტექსტში.</p> <p>უცხს.V. 9. მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ტექსტს/ნაწყვეტს.</p> <p>უცხს.V. 10. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად.</p> <p>უცხს.V. 11. მოსწავლე ეუფლება სქემატური წარწერების სხვადასხვა ტექნიკას.</p>	<p>უცხს.V. 12. მოსწავლე წერს ახსნა-განმარტებით ბარათს, განცხადებას, წერილს კონკრეტულ პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებით.</p> <p>უცხს.V. 13. მოსწავლე წერს სხვადასხვა ტიპის ტექსტს (ესე, წერილი სასკოლო ან ახალგაზრდული ჟურნალისთვის) აქტუალურ თემაზე/საკითხზე (მაგალითად, მოსწავლე და მობილური ტელეფონი, მოსწავლეთა დამოკიდებულება სკოლის მიმართ, წიგნი და ინტერნეტი და სხვა).</p> <p>ა)წერს სარეკლამო ხასიათის ტექსტს (ტურისტული გზამკვლევი, ინფორმაციული ბუკლეტი).</p> <p>უცხს.V. 14. წერისას მოსწავლე ქმნის ტექსტის სტრუქტურას, იძენს და ფუნქციურად იყენებს საბაზისო ენობრივ-გრამატიკულ უნარ-წყვეტებს.</p> <p>უცხს.V. 15. მოსწავლე იძენს და იყენებს წერის ეფექტურ სტრატეგიებს წერის პროცესის ყველა ეტაპზე (მოსამზადებელი, ტექსტის შედგენა, ტექსტის გაუმჯობესება).</p>

მიმართულება:

ლაპარაკი	კულტურათა დიალოგი	უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება	სწავლის სწავლა
<p>დიალოგური მეტყველება</p> <p>უცხ.ს.V. 16. მოსწავლე მონაწილეობს ინტერაქციაში მისთვის ნაცნობ თემებზე, საკითხებზე.</p> <p>უცხ.ს.V.17. მოსწავლე თავს ართმევს ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას.</p> <p>მონოლოგური მეტყველება</p> <p>უცხ.ს.V. 18. მოსწავლე ლაპარაკობს გაბმულად მისთვის ნაცნობ თემებზე.</p> <p>უცხ.ს.V. 19. წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას (პრეზენტაციას) მისთვის საინტერესო თემაზე</p> <p>უცხ.ს.V. 20. მოსწავლე იძენს და ფუნქციურად იყენებს საბაზისო ენობრივ-გრამატიკულ უნარ-წყვევებს.</p> <p>უცხ.ს. V. 21. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და ზეპირი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად.</p>	<p>უცხ.ს.V. 22. მოსწავლე იძენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას კულტურული თავისებურებების მიმართ.</p>	<p>უცხ.ს.V. 23. მოსწავლე უცხოურ ენაზე განახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტს (მაგ., სასწავლო მგზავრობა იმ ადგილში, რომლებიც ამა თუ იმ მწერალს, მოღვაწეს უკავშირდება; ექსკურსია-გიდობის განხორციელება უცხოენოვანებისთვის და სხვა).</p> <p>უცხ.ს.V. 24. მოსწავლეები ამუშავებენ უცხოურენოვან წყაროებს/ტექსტებს შემდგომი გამოყენებისათვის (მაგალითად, მასალის მოძიება-შეგროვება სასკოლო პროექტების განხორციელებლად).</p>	<p>უცხ.ს. V. 25. მოსწავლე დამოუკიდებლად განჭვრეტს შესასრულებელი დავალების მოთხოვნებს.</p> <p>უცხ.ს. V. 26. მოსწავლე იყენებს სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად.</p> <p>უცხ.ს.V. 27. მოსწავლე იყენებს რესურსებს სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.</p> <p>უცხ.ს.V. 28. მოსწავლე ამუშავებს ინფორმაციას მისი დამახსოვრებისა და ეფექტურად გამოყენების ხელშესაწყობად.</p> <p>უცხ.ს.V. 29. მოსწავლე თანამშრომლობს თანაკლასელებთან, მასწავლებელთან, მენეჯერებთან შედეგების გაუმჯობესების მიზნით.</p>

სწავლის შედეგები და ინდიკატორები

მიმართულება: მოსმენა

(მოსმენის უნარის გასავითარებლად გამოიყენება სასწავლო მიზნით შექმნილი აუდიოჩანაწერები).

უცხ.ს.V.1. მოსწავლე ისმენს და იგებს უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე ინტერაქციას (დიალოგი, ინტერვიუ), მონოლოგს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს, სად მიმდინარეობს საუბარი;
- ამოიცნობს თანამოსაუბრეებს;
- ამოიცნობს საუბრის ძირითად თემას/საკითხებს;
- ამოკრეფს კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, რა, სად, როდის, რომელი, როგორი, რამდენი, რატომ და სხვა);
- ამოიცნობს თანამოსაუბრეთა დამოკიდებულებას, შეფასებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით;
- საუბრის შინაარსიდან გამომდინარე გამოაქვს დასკვნა თანამოსაუბრეთა ხასიათის, საქმიანობის, ინტერესების, სოციალური მდგომარეობისა და მათ შორის არსებული ურთიერთობის (მეგობრული, კონფლიქტური, საქმიანი, დიდი ხნის ნაცნობები, ახლადგაცნობილები და სხვა) შესახებ;
- ინტონაციით განასხვავებს სათქმელის მოდალობას (შეკითხვა, თხოვნა, მოთხოვნა, საყვედური, სინანული, გაპროტესტება);
- განასხვავებს მიმართვის ფამილარულ და თავაზიან ფორმულებს.

უცხ.ს.V.2. მოსწავლე ისმენს და იგებს რადიო-ტელეგადაცემებს, აუდიოჩანაწერებს და ზეპირ გამოსვლას ნაცნობ ან მისთვის საინტერესო თემატიკაზე (რეპორტაჟი, დოკუმენტური გადაცემა, ლექცია).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს თემას, ძირითად საკითხებს, მტკიცებულებებს;
- ამოიცნობს ლოგიკურ კავშირებს ფაქტებს, მოვლენებს შორის;
- ამოკრებს ფაქტობრივ ინფორმაციას (ვინ, რა, როდის, სად, როგორი, რამდენი და სხვა).
- განარჩევს ვარაუდს ფაქტისაგან, ფაქტებს დამოკიდებულებისაგან, შეფასებისაგან.
- აკავშირებს კონკრეტულ დეტალებს ძირითად ინფორმაციასთან;
- ამოკრებს ინფორმაციას კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით.

მოსმენის სტრატეგიები

უცხ.ს.V.3. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა სტრატეგიას მოსასმენი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის მოსმენისას იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (ხმის ტემბრი, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ლოგიკური მახვილები, ილუსტრაცია, სქემა);
- ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი);
- ინიშნავს უცნობ სიტყვებს მათი მნიშვნელობის გასარკვევად;
- იყენებს სელექციური მოსმენის სტრატეგიას კონკრეტული ინფორმაციის ამოსაცნობად;
- აღწერს, რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა;
- ადარებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხს და გამოაქვს დასკვნა, თუ რომელი მიდგომა იყო ეფექტური;

- მიზნის შესაბამისად ცვლის მოსმენის სტრატეგიას: ზოგადი შინაარსის გასაგებად ეყრდნობა ნაცნობ სიტყვებს, არავერბალურ ელემენტებს და ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას, კონტექსტს, სასაუბრო თემას; კონკრეტული ინფორმაციის ამოსაცნობად შეარწმუნებს კონკრეტულ საყრდენებს, მათზე ამახვილებს ყურადღებას საჭირო ინფორმაციის ამოსაკრეფად;
- უცხოურ ენაზე უყურებს და უსმენს თავისთვის საინტერესო ტელე/რადიო გადაცემებს, ფილმებს;
- მოსასმენი ამოცანების გადაჭრისას იყენებს სხვა ენაში მიღებულ გამოცდილებას;
- იხსენებს, სხვა საგნებში რა ტიპის სტრატეგია გამოუყენებია ინფორმაციის მოსმენისას, ადარებს ძველ და ახალ გამოცდილებას, გამოაქვს დასკვნები;
- მსჯელობს, რომელ სასწავლო თუ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეიძლება გამოადგეს გამოყენებული/განხილული სტრატეგიები.

მიმართულება: კითხვა

უცხ.ს.V.4. მოსწავლე კითხულობს და იგებს სხვადასხვა თემაზე შექმნილ შემეცნებით ტექსტს (ისტორიული, კულტურული, არქეოლოგიური, გეოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა).

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს მთავარ თემას/საკითხებს;
- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ფაქტობრივ ინფორმაციას;
- ტექსტს ყოფს შინაარსობრივ ნაწილებად;
- მიჟნავს ფაქტს ვარაუდისაგან;
- ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში მოცემულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებულ კავშირს (მიზეზ-შედეგობრივი, შეპირისპირებითი, პირობითი, ინდუქციური და სხვა) და გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;

უცხ.ს.V.5. მოსწავლე კითხულობს და იგებს საგაზეთო პუბლიკაციებს მისთვის საინტერესო აქტუალურ თემებზე (მაგალითად, ინტერნეტის/ მობილურის/მპპ-ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, უსაფრთხო სკოლა, როკ-მუსიკა, განსხვავება ბიჭებსა და გოგონებს შორის და სხვა);

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- ამოიცნობს პუბლიკაციის მიზანს (გაკრიტიკება, პრობლემის ნამოჭრა, შთაბეჭდილების გაზიარება და სხვა);
- ამოიცნობს პუბლიკაციის ადრესატს (ვისთვის არის განკუთვნილი);
- ამოიცნობს პრობლემატიკას;
- ამოიცნობს განსხვავებულ ასპექტებს, რომლითაც პრობლემა განიხილება;
- ამოიცნობს განსხვავებულ თვალსაზრისებს, მტკიცებულებებს;
- თვალსაზრისებს უსადაგებს მოხმობილ ფაქტებს, მაგალითებს;
- ინფორმაციებს აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან და ამაზე დაფუძნებით გამოკვეთს და გამოხატავს საკუთარ პოზიციას განხილულ საკითხთან მიმართებაში.

უცხ.ს.V.6. მოსწავლე კითხულობს და იგებს ადაპტირებულ მოთხრობას/ ნოველას.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- სათაურს გააზრებულად აკავშირებს ტექსტთან;
- ამოიცნობს მოთხრობელს, პერსონაჟებს;
- ამოიცნობს მოვლენათა თანმიმდევრობას;
- ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, სად, რატომ, რა მიზნით და სხვა);
- ამოიცნობს მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს;
- ამოიცნობს პერსონაჟებს შორის არსებულ ურთიერთობებს;

- ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე;
- ნაწარმოებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისი, ამბის მსვლელობა, დასასრული);
- ამოიცნობს მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს.

უცხ.ს.V.7. მოსწავლე კითხულობს და იგებს კომიქსს.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- განასხვავებს ერთმანეთისგან დიალოგური და თხრობითი ტექსტების დიზაინს;
- ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტს და ნახატს;
- ამოიცნობს სახვითი და ტიპოგრაფიული ხერხებით გამოხატულ ემოციებს, განწყობილებებს (მაგ. გამსხვილებული შრიფტი ყვირილის, ბრაზის აღსანიშნავად და სხვა);
- ამოიცნობს ეპიზოდების შინაარსს ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- ამოიცნობს ნახატებსა თუ ტექსტში მინიშნებულ, იმპლიციტურ ინფორმაციას კულტურის სფეროდან (ეპოქა, ქვეყანა, ისტორიული მოვლენა, ამა თუ იმ სოციალური წრის ტიპური წარმომადგენელი და სხვა).

